ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 100

"18" მარტი 2022 წ.

ქ. თბილისი

შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქ. №54 (ს/კ. №01.10.06.001.221) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში მიღებული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, შპს ,,ედემის" (ს/ნ. 405098727) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების'' 35-ე მუხლისა და „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქ. №54 (ს/კ. №01.10.06.001.221) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში მიღებული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, შპს ,,ედემის" (ს/ნ. 405098727) მიმართ გასატარებელი ღონისძებების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 15 მარტის №22.332.375 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს ,,ედემის" (ს/ნ. 405098727) მიერ მისამართზე - ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქ. №54 (ს/კ: №01.10.06.001.221) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულება №21.1004.1136, 21.07.2021) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (განკარგულება №321, 23.07.2021), მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შესასრულებელი ვალდებულებების თანხის გადახდის ნაწილში შესრულებულად ჩათვლასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით №321, 23.07.2021 გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები ძალაში დატოვებასთან დაკავშირებით, შემდეგი პირობებით:

ა) დაინტერესებულმა პირმა - შპს ,,ედემმა“ (ს/ნ. 405098727) ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გადასახდელი თანხის გადახდისათვის დადგენილი ვადის გადაცილების (10 კალენდარული დღით) გამო, უზრუნველყოს 591 (ხუთას ოთხმოცდათერთმეტი) ლარის გადარიცხვა, „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი“ (ს/ნ. 204460957), შპს ,,მარიჯანი (ს/კ. 205064712), შპს „გეითვეი ჰოლდინგი“ (ს/კ. 204531499), შპს „დაკიდებული ბაღები“ (ს/კ. 212272869), შპს „დიღომი დისთრიქთ აფართმენთს“ (ს/კ. 204514926), ამხანაგობა „ახალი დიღომი“ (ს/კ. 202389156), ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ს და შპს „სიემსი“-ს (ს/ნ. 205292486) შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით (მასში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილებით) განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად;

ბ) შპს ,,ედემმა“ (ს/ნ. 405098727) „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა, ამავე პუნქტში მითითებული მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნით შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადას;

გ) „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2022 წლის 11 მარტის №2 სხდომის ოქმით გათვალისწინებული პირობის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული განკარგულებით (№321, 23.07.2021) გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**